ოქმი:**ო37. 3723287001**
თარიღი:**14/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეროდი გორდელაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,11 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
12.30 –13 .30 სთ.

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ეროდი გორდელაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა,ეროდი გორდელაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ეროდი გორდელაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო :“2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“. სოფლის მხარდამჭერთა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. რომ უშუალოდ მისი შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებულ იქნა შემდეგი საკითხები: სკოლამდელი დაწესებულების შენობის კეთილმოწყობა,გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა,მოეწყო ასფალტისა და ბეტონის საფარი,გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება , სტიქიის შედეგად დაზარალებულთა არაერთ ოჯახს მიეცა ხის მასალა და თუნუქის სახურავი. საკრებულოს წევრმა ასევე ისაუბრა საანგარიშო პერიოდის ძირითად პრიორიტეტებზე: ინფრასტრუქტურის მშენებლობის გაძლიერება, სკოლამდელი აღზრდის, სპორტისა და განათლების სფეროს მოწყობა, ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებაზე ზრუნვა გენდერულ თანასწორობის გათვალისწინებით.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ეროდი გორდელაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი